ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N55

2023 წლის **31** აგვისტო

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N02 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 აგვისტოს N114-1142323661 მომართვის შესაბამისად:

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N02 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“-ში შეტანილ იქნას ცვლილება და დაემატოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, მეგობრობის ქუჩა N42-ში მდებარე 2400,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.42.08.569) თანახმად დანართისა;

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი

დანართი

N	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	შენობის ფართი (კვ.მ)	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	თავისუფალი მიწის ნაკვეთი	ქ. ქობულეთი, მეგობრობის ქუჩა N-42	–	2400	20.42.08.569	